



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალხაბიშვილი ილია სოლომონის ძე



ი. ს. ალხაბიშვილი

ალხაბიშვილი ილია სოლომონის ძე [3 (15). XI. 1853, სოფ. ზიარი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, - 27. I. 1921, თბილისი], მწერალი, მეცნიერი, საზ. მოღვაწე.

დიდი მონდომების მეოხებით შეძლო სათანადო განათლების მიღება. 1872 ახალქალაქში ფერშლად დანიშნეს. 1880 იქვე გახსნა პირველი აფთიაქი. 1889-91 სწავლობდა ხარკოვის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტზე. პროვიზორის დიპლომით დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა პრაქტ. საქმიანობას. ლიტ. მოღვაწეობა 1875 დაიწყო. მისი პირველი კორესპონდენცია და წერილები ჯავახეთიდან 1875 დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“. პრესაში აქვეყნებდა აგრეთვე წერილებს, ისტ.-ეთნოგრ., ფოლკლორულ, სამედ. ხასიათის ნარკვევებს, მოთხრობებს, მგზავრის შთაბეჭდილებებს,

სამეცნ.-პოპულ. ხასიათის თხზულებებს. აღსანიშნავია ა-ის ნაშრომები: „ბუნება და ცხოვრება“ (1897), „სამკურნალო მცენარენი საქართველოში“ (1899), „მტკვარი, ჭოროხი, რიონი“ (1912-14), „ვარძიის მონასტერი“, „ჯავახეთი“ და სხვ. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში „საანატომიო და საფიზიოლოგიო ტერმინები“ (1913), „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“, 1915; „ბუნების ლექსიკონი“, 1916). „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დახმარებით ახალქალაქში გახსნა ქართ. გიმნაზია, ჯავახეთის სოფლებში – სკოლები და სამკითხველოები, ავრცელებდა ქართ. წიგნებს, სახელმძღვანელოებს, სახ. განათლებისთვის აგროვებდა შეწირულებებს.

ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ი. გოგებაშვილთან, ს. მესხთან, გ. წერეთელთან, ა. თუმანიშვილ-წერეთელთან და სხვ. მისი პირადი წერილები დაცულია აღნიშნულ მწერალთა ფონდებში.

თხზ.: ბუნება და ცხოვრება (მგზავრის დღიურიდან), თბ., 1897; ბუნება სურათებში. „ჭეჭილის“ ალბომი, თბ., 1899.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე მ., ილია ალხაზიშვილი «მნათობი», 1953, №11.

შ. გომალიშვილი
